# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 62 | კვირა, 13 ოქტომბერი 1902 წ. | გაზეთის № 1953.


## მგელი

ფრიად დაღონებული იყო. ბევრჯელ მოჰშივნია, ბევრჯელ უთხრია ტოტით მიწა და იმით დაუნელებია კუჭის წვა; ბევრჯელ ფუტურო ხე უღრღნია კბილით, გაძღომის გულისთვის. სიმშილისაგან შეწუხებულს ბევრჯელ უთხოვნია ღვთისთვის: „ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო რომ გავძღე ნუ მომკლავ სიმშილით!.. შენი გაჩენილი ვარ, დამარჩინე, უფალო“, მაგრამ, როცა ღმერთს შეუსმენია მისი თხოვნა, მგელს დაჰვიწყნია მადლობის გადახდა. სამაგიეროდ, როცა ამაოდ ჩაუვლია მის თხოვნა ვედრებას, სამდურავი, საყვედური გამოუცხადებია ღვთისთვის: „შენ ღმერთი კი არა, არ ვიცი რა ხარ! არ იცი შეწყნარება, არ იცი სიბრალული. გევედრები—არ მისმენ; შეგიძლიან აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა. რა დავაშავე? მითხარი, რა დავაშავე? რა ცოდვა მოვიმოქმედე?“ როცა ამ სიტყვებს ამბობდა ეს საცოდავი ნადირი უნდა გენახათ მაშინ რა საზარელი შეხედულება ჰქონდა და მასთან საბრალო: თუმც ორივე თვალი ცისაკენ ჰქონდა ამართული, მასთან ერთი თვალით მაინც ალმაცერად იცქირებოდა: მიწას, ტყეს არ აშორებდა... ვინ იცის, როგორ იყოს საქმე: ან ლუკმა არ ამცდეს, ან მტრის მსხვერპლი არ გავხდეო; მისი თვალები ცასა და დედა-მიწას ცეცხლის სხივებს ესროდა, ეს ცეცხლი სხვა ჯურის ცეცხლი იყო, იგი არა ჰგავდა არც ცეცხლის, არც მზე და მთვარის სინათლეს, ხოლო საშინელი სანახავი იყო ეს სინათლე...

დაღონებული? რას ფიქრობდა ეს ბეჩავი ცხოველი? გიკვირსთ? ნუ გაგიკვირდებათ!... დღეს მგელი სრულიად სხვა რასმე ფიქრობდა და ისევ ამ ფიქრით ღმერთს ემდურებოდა: „ღმერთო რად გამაჩინე მგლად!? რადა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რადა ვარ სისხლით გაუმაძღარი? ათასს სულ ცხვარს ერთს ღამეში თავებს გავბალთავ, განა ერთი არ მეყოფა?! რად მიყვარს ხორცის ჭამა და სისხლის სმა?.. რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, თუნდ ბეჩავი კურდღელი?.. კურდღლობა მე არ შემიძლიან, არც ირმობა, არც შვლობა... ჩემი ბუნება სულ სხვაა, ეშმაკი მიზის გულში და მიჩანგებს „გააფუჭე, წაახდინე!... აგებული დაშალე, ცოცხალი მოკალ, შათქი, შაყლაპე!.. რაც შეიძლო ბევრი სისხლი დაანთხიე!.. ნუ დაჰზოგავ ნურავის, რასაც კბილი და კლანჭი მიგიწვდება! თესე ქვეყანაზე ვაება ტირილი და გლოვა, სისხლი და ცრემლი!... „აი ჩემი ნდომა, ჩემი წადილი, ჩემი ბუნება.... ააახ!. არ მინდა ვიფიქრო, არ მინდა გავიხსენო ჩემი ცოდვები... ააახ!... ღმერთო, ღმერთო შე დალოცვილო, რა უბედური, რა ყველაზე საწყალი გაგიჩენივარ... და განა მარტო მე? რა საჭიროა ან ვეფხვი, ან დათვი, ან სხვა სისხლის მსმელი ნადირი?.. რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა. არ შეგვეძლო განა ბალახი გვეძოვა და ისე გვეცოცხლა? სისხლის მაგივრად წყალი გვესვა?!... ჩვენ ყველგან შიშსა ვთესავთ, ჩვენი ყველა სულდგმულს ეშინიან და ყველა გვემტერება. ზოგი, ვისაც ხელის შემობრუნება არ შეუძლიან, გაგვირბის, ვისაც თოფი და ტყვია-წამალი აქვს და გული ერჯის, სასიკვდილოდ არა გვზოგავს... ოოოხ!... არა, არა! არა ღირ-



მსხვერპლის მოლოდინში.—სურათი ვ. სტრატტისა.

ყველასაგან მოძულებული და ყველასაგან შეჩვენებული დღესაც დაღონებული იწვა უდაბურს ტყეში. ორივე ტოტი წინ გაეწოდა, დიდი სალი კლდე თავზე დასჩერებოდა და ზურგს უმაგრებდა; მგელი ცის სივრცეს გასცქეროდა. მას სასმელ-საჭმელი აღარ აწუხებდა. მაშ რადა სწუხდა? რად იყო

და ჩვენი გაჩენა... მე მგლობამ უბედურობის მეტი სხვა არაფერი მომიტანა... იქ რა უნდა, რა ესაქმის ბედნიერებას, საცა ქენჯნა და მხილებაა სინიდისისა?!.. რა მქვიან მე?—მგელი. უვარგისს, უმსგავსს სახელს ვატარებ. ნუ თუ ამისთანა ყოფნა ყოფნაა, ამისთანა სიცოცხლე სიცოცხლეა?!.. არა, ეს მკვდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლეა. როცა დავდივარ უსულო და სულიერი ყველა ზიზღით და შიშით იძახის: „მგელი!“... გასქდი, დედა-მიწავ, და თან ჩამიტანე!... ფუუუჰ!... ჩვენ როცა გვშიან ერთმა-



მცხეთის საკრებულო ტაძარი. საქართველოს მეფეთა აკლდამები.

ნერთსაც კი ვჭამთ: თვით ჩემი დედა, და-ძმები მგლებმა დაჭამეს და მეც იქნება... ჰო, იქნება კი არა, სწორედ შესაძლებელია ჩემივე მსგავსის, ჩემის თვისის და ტომის საგლეჯ-საწეწი შევიქმნა ოდესმე. მითხარით, მირჩიეთ რა ვქნა? რითი ვუშველო ჩემს თავს? საით, როგორ დავახრწიო თავი ამ მგლურს ბუნებას, ამ წყეულს, ამ შეჩვენებულ წადილთა და გრძნობამისწრაფებათა ხროვას?!.. ეეეჰ!—სთქვა მან და მწარედ კბილები გააკრაჭუნა.

ამ დროს იქვე ხეზე ჩხიკვი შემოჯდა, მგელს დააცქერდა, კისერი გადმოწაბა, იმანაც თითქოს კბილები გააკრაჭუნა, დაუწყო კირცხება, ჯავრება და შემდეგ, „ჩხიიი, ჩხიიი“, გააბა... ბოლოს ისევ თ:ვს დაუწყო კანტური და მოჰყვა: „საწყალო, საწ...ყა..ლო... საწყალო!.... ხა-ხა-ხა! თან გაიცინა; ფრინავდა მოუსვენრად ტოტიდან ტოტზე, ნავარდობდა, ცელქობდა, მხიარულობდა. მდინარე, ქვეით ხევში ლოდებზე მომდინარეც, ტკეპნით მიაქანებდა ტალღებს, თითქოს ისიც რაღაცას ამბობდა, თითქოს მიმხვდარიყო და თანაუგრძნობდა მგლის გულის ტკივილს. — „უყურე მგელს, ამბობდა იგი, ვინ მგელი, ვინ ეგ სიტყვები? ღმერთო, ამას რას მოვესწარი!.. მიკვირს, გამკვირებია!

— რად სცრუობ, ვის ატყუებ? შენ იქნება ან ავადა ხარ, ან მოჰხუცდი და აღარ ძალ-გიძს მგლური ნავარდი და მიტომ მოინდომე გადასხვავება? გინდა იმ ერთ ადამიანივით სამოცდა-ათი წელი რომ გარყვნილებაში გაატარა და როცა ყოველი ძალა და ჯანი გამოელია გარყვნილების მასაზრდოებელი, მაშინ შედგა ბერად სულის მოსაგებად,—შენც სული მოიგო? სტყუი, სცრუობ!—შემოსძახა მდინარემ ქვევიდან.

— არა სტყუის!...—დაიჩხავლა ჩხიკვმა:—გულწრფელად ამბობს.

— არა სტყუის!—დაიბუტბუტა კლდემ მგლის თავზე შავად დაყუდებულმა.

— მართალია, მართალი, არა სტყუის!—დაიგრიალა ტყემ და მიშოლტ-მოშოლტა თვისი ფოთლიანი ტოტები.

— განა, აქაოდა მგელიაო, სიმართლეს არ იტყვის, არაფერი დაეჯერება?—დააკაკანა კოდალამ.

ხოლო მგელი ხმას არ იღებდა... გარინდებული იყო.

— ვაჰ... მე რომ... მე რომ ის..... ვიყო?—ბუტბუტებდა და თან დასთვლიმა.

დასთვლიმა და რა მოესიზმრა? ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა—ბოჯოჯლი რქებით შემოსილი, ყელ-მოღერებული სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში.

მძინარას გრიალი, ხმელი ფოთლების შრიალი და ლაწალუწი შაესმა. ფეხზე წამოდგა... მის პირ-და-პირ დამთხალი ირმები გარბოდნენ.

— ეჰ, გამასწრეს!—სთქვა მგელმა თავისთვინ:—მოვტყუვდი. წავიდნენ, წავიდნენ! მირბიან, მირბიან. ხოლო თვალს ვერ აშორებდა, ირმებს თან გაჰყვა მისი თვალები. მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა გაბრიყვებულს მგელს თვალი შეასწრო.

— ირმები თუ გამექცნენ ეს ხომ აქ არის—სთქვა მან და გამოუმიზნა თოფი.... თოფი გავარდა... და მგელიც წაიქცა... მოკვდა მგელი...

ამ შემთხვევამ ყველანი გააოცა.

– დიდება შენთვის, უფალო, წინად იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, თორემ ვინ მგელი, ვინ მაგისთანა მსჯელობა?—ამბობდა კლდე.

— საწყალი, საწყალი მგელი!—დუდუნებდა მდინარე:—თქვენ არ დაიჯერებთ, ცხონებულია!...

— კრრრიია,—გაისმოდა კოდალას კაკუნი. ჩხიკვი კი მაღლა ხის ტოტზე დაფარფატებდა და უგემურად ჩხიკვინებდა... ტყე არაფერს ამბობდა თავი დაბლა დაელო და ღრმა, საიდუმლო ფიქრებში იყო გართული.

გაყა-ფშაველა

## ნარევი

**ნათხოვარი სერთუკები.** ამ მოკლე ხანში ერთი გამოჩენილი, ფრანგი დიდის კლუბის ვიცე პრეზიდენტი, ოსტენდეში იყო და დასეირნობდა. ამ დროს შეჰხვდა ბელგიის მეფე ლეოპოლდს, რომელიც, ჩვეულებისამებრ, დილა-ადრიან გამოსულიყო სასეირნოდ. მეფე და ეს ფრანგი წინადაც შეჰხვედრიან ერთმანეთს პარიზში, ამიტომ



იაზონ და მედეია. — გადაღებულია ტფილისის მუზეის კედლიდან

მეფე გამოელაპარაკა ფრანგს და, სხვათა შორის, მეორე დღისთვის სადილად მიიწვია. ფრანგს, რასაკვირველია, იამა მეფისაგან მიწვევა,

მაგრამ თანაც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ერთის დღით მოსულიყო და ფრაკი არა ჰქონდა თან. საჩქაროდ დეპეშით შეუთვალა შინ და მეორე დილას მიიღო ფრაკი.

რამდენიმე წამის შემდეგ სასახლის მოხელემ შეატყობინა, რომ სადილის მაგიერად საუზმეზე გიწვევთ მეფეო. საბრალო ფრანგს ახლა სულ თავსრეტი დაესხა, სერთუკი თან არა ჰქონდა წამოღებული და აღარც დეპეშით გამოწერა შეიძლებოდა, რადგან ვერ მოესწრებოდა. ადგილობრივს მაღაზიებშიაც ვერ იშოვიდა ხეირიანს სერთუკს.

ფრანგი დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი, ფიქრობდა და ვერა მოეგვარებინა-რა. ამ დროს თვალი მოჰკრა სასტუმროს უფროს კელნერს (მოსამსახურეს), რომელსაც სრულიად ახალი კოხტა სერთუკი ეცვა და, რადგანაც კელნერი და ფრანგი ერთის ტანისა იყვნენ, მიუახლოვდა და უთხრა:

— რა მშვენიერი სერთუკი გაცვიათ!

— ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენგან ქება მესმის ჩემის სერთუკისა, მაგრამ ეს № 2 გახლავთ ამაზე უკეთესი სერთუკიცა მაქვს. —მიუგო მოსამსახურემ.

— რაო? ამაზე უკეთესი სერთუკიც გაქვთ? მერე სად არის?

„საკვირველი საქმეა,—გაიფიქრა ფრანგმა,—მეფის საუზმეზე სამი კაცი იქნება ნათხოვარი სერთუკით“.

დანიშნულ დროს ყველანი შეგროვდნენ მეფის სადგომში და სუფრას შემოუსხდნენ. მეფე ჩვეულებრივ გულ-უხვობდა და სიტყვაწყლიანობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტუმართ რაღაც შევიწროებული მდგომარეობა ეტყობოდათ: ნათხოვარ სერთუკში კარგად ვერა ჰგრძნობს ადამიანი თავს. სტუმართ შორის ლორდი ს.. იყო. ლორდი თითქო მუგუზალზე ზისო, რაღაც მოუსვენარ მდგომარეობაში იყო, ჩანგალს რომ პირთან მიიტანდა, ისე ახირებულად აიფხორებოდა, თითქო ცირკის მასხარა არისო. ფრანგი ცნობის-მოყვარეობით აკვირდებოდა ლორდის ასეთს მოძრაობას და ფიქრობდა, ეს ბრიტანელთა საერთო მოუხეშაობის ბრალიაო, მაგრამ ამ დროს გვერდით მჯდომმა ქალბატონმა ს.-მ წასჩურჩულა:

— რომ იცოდეთ, რა გაჭირვებაშია ჩემი ქმარი! სერთუკი არა ჰქონდა წამოღებული და იძულებული იყო სასტუმროს პატრონის მჭკლე მეტის-მეტად ვიწრო სერთუკი ჩაეცვა.

ვეღარ იძვრის, შიშისაგან გული უსკდება, რომ სერთუკი ტანზე არ შემოასკდეს.

„№ 4“—გაიფიქრა პარიზელმა და ისე გულიანად გადიხარხარა, რომ მეფის ყურადღება მიიქცია.



მყუდრო საბანაო.

— მართალი უნდა ვთქვა, არ უნდა გამემხილა ეს, მაგრამ თქვენ გეტყვით საიდუმლოდ: უკეთესი სერთუკი ბატონ X-ს ვათხოვე, რადგან მეფესთან არის საუზმეზე მიწვეული და სერთუკი კი არა აქვს.

X.—მეტად გამოჩენილი ბანკირია ელზასში.

ფრანგმა გამოართვა კელნერს № 2 სერთუკი და გულდამშვიდებული წავიდა სასეირნოდ. ამ დროს ერთს თავისს მეგობარს შეჰხვდა.

— გამარჯობა, თქვენც აქა ხართ! როგორ მშვიდობით იმყოფებით?

— გმადლობთ, კარგად... მეფე ლეოპოლდთანა ვარ დღეს საუზმეზე მიწვეული.

— თქვენცა! მაშ ვნახავთ ერთმანეთს.

— მერე იცით, რა ცეცხლში ჩავვარდი? საუზმე კი არა, თავი აღარ მახსოვდა, წარმოიდგინე სერთუკი თან არ წამომიღია და, არ ვიცი, რა გამოვიდოდა, რომ აქაურს ბურგომისტრს არ ეთხოვებინა თავისი სერთუკი.

მეფე ლეოპოლდმა გამოჰკითხა ამ სიცილის მიზეზი და მეტი რა ჯანი იყო,—პარიზელმა უამბო სერთუკების ისტორია.

მეფეს საოცარი ხარხარი აუვარდა, მას მოჰყვნენ სხვებიც, მაგრამ ამ დროს ის მოხდა, რისაც ასე საშინლად ეშინოდა ლორდსა—იმისი სერთუკი სულ ერთიანად გაიფხრიწა და კეთილ-შობილი ლორდი სახელო მოგლეჯილ სერთუკით კი გამოეცხადა ყველას.

**

მალიარიის საწინააღმდეგო შრატი. ექიმებისა და ბუნების მეტყველთა უკანასკნელ კრებაზე კარლსბადში ბოსნიელმა პროფესორმა გოფორკამ მოახსენა კრებას, რომ მან მალიარიის (ჭაობის ციებცხელება) საწინააღმდეგო შრატი აღმოაჩინა. ეს შრატი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში უხმარიათ პირველად და კარგი ძალაც გამოუჩენია როგორც აფრიკაში, ისე ბოსნიის სავადმყოფოებშიაც. ეს შრატი ცხენის სისხლისაგან შესდგება, ხოლო ცხენი ერთგვარ მძიმე სენით უნდა იყოს ავად. რამდენიმე წვეთი სისხლი ამ სენით ავად-

მუოფ ცხენისა რომ ჯან-საღ ცხენს შეუშხაპუნოს, რამდენიმე წუთს ცხენი სასიკვდილოდ გახდება, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამ საწამლავს კატზე კარგი გავლენა აქვს. 43 კატზე უცდიათ ეს შრატი და ამათგან 26 სრულებით მორჩენილა მალიარიისაგან, ექვს კატს კი დიდი შემსუბუქება უგრძვნია ამ წამლის შემდეგ.

**

ჭიანჭველების მოსპობა. სახლებში ჭიანჭველების მოსასპობად რამდენიმე საშუალებაა გამოცდილი, ძვირადაც არა ღირს: 1) სადაც ჭიანჭველები გაჩნდებიან, იმ ალაგას შაქრის წვენში ამოვლებული ღრუბელი უნდა დადოთ. რა თქმა უნდა, ჭიანჭველები ბლომად დაესევიან ღრუბელს. მერე აიღეთ და მდუღარე წყალში ჩაავლეთ. რამდენჯერმე რომ გაიმეოროთ ასე—ჭიანჭველები მოისპობა. 2) ჭიანჭველებს ძალიან სძულთ თურმე ცერეცოსა და პომადორის სუნი, ამ მცენარეების მწვანე ან გამხმარი ტოტები, გინა ცერეცოს თესლი რომ იმ ადგილას ჩააწყოთ, სადაც ჭიანჭველების ბუდეა, იქიდან ჭიანჭველები გაიქცევიან. 3) უნდა აიღოთ, სამი წილი კალაქვა (ნაცარტუტის მარილი) ერთი წილი ბუხრის მჭვარტლი და მდინარის წყალში აადუღოთ და მერე ჭიანჭველების ბუდეებს ან იმ ადგილს, სადაც ჭიანჭველები შეეჩვივნენ, მოასხით ეს ნახარში, რომელიც ერთიანად გასწყვეტს ამ მწერს. 4) ქოთანი შიგნიდან თაფლით შეთუთხნეთ და ჭიანჭველების ბუდესთან დააპირქვავეთ: ჭიანჭველები ერთიანად დაესევიან და მერე მდუღარე წყალი ქოთანში ჩაასხით. გაიმეორეთ რამდენჯერმე ასე და ჭიანჭველები ერთიანად გაწყდებიან. 5) ორი წილი თაფლი და ერთი წილი სვია (ლუდს რომ უკეთებენ) ერთმანეთში აურიეთ; ჭიანჭველები სიხარბით მიეტანებიან ამ საჭმელს და ერთიანად გაწყდებიან. 6) როცა ჭიანჭველები ქვემოდან ზევით მიდიან, გზა გადაუღობეთ: თევზის ზეთი წაუსვით ერთ ადგილას ჭიანჭველების გზას და ჭიანჭველები თურმე ვეღარ გადაივლიან ამ ადგილს. 7) ჭიანჭველების ბუდეში კარგ ამინდში მარილი ჩაჰყარეთ და წყალი ჩაასხით, ჭიანჭველები გაწყდებიან.

## ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს კ რ ე ბ ა ს ა ღ ა მ ო ს 10 ს ა ა თ ზ ე.



ასე დადიან საინტერესო კითხვების განსახილველად!



მესამე უბნის საქალაქო ამომრჩეველთა მოთავე არჩევანების დღეს.



ქალაქ ქუთაისის ქუჩებზე

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Октября 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა,